სარჩევი

რა არის ახალი 3

დისტრიბუციის ფუნქციონალი 3

საქონელი სადისტრიბუციოდ 3

ბიზნეს რეგიონები 6

შეკვეთების დამუშავება 7

უკან დაბრუნების დამხმარე 9

აპლიკაცია მარდი 12

ლიცენზირება 12

ინტეგრაცია 12

სავაჭრო წარმომადგენელი 13

აპლიკაცია 16

სალაროს ორდერების ექსელიდან ჩატვირთვა 21
საკადრო მოძრაობის ანგარიშგება 22
შეტყობინებების დაგზავნაში არჩეული შაბლონების მიხედვით ფილტრის დადების შესაძლებლობა 23
საწყისი ნაშთების დამუშავებაში მყიდველების და მომწოდებლების დავალიანების გადახდის ვადის მითითების შესაძლებლობა 23
გასწორებული შეცდომები 24
სხვა მოდიფიკაციები 25

ბალანსის რელიზი_1.3.4.1

19.06.2023

რა არის ახალი

დისტრიბუციის ფუნქციონალი

ბალანსში დაემატა დისტრიბუციის ფუნქციონალი. ამისათვის ადმინისტრირების ჩანართში>გაყიდვების აწყობებში მონიშნული უნდა იყოს ალამი „დისტრიბუცია“. ალმის ჩართვის შემთხვევაში პროგრამაში გამოჩნდება ახალი, დისტრიბუციის, ჩანართი.



ფუნქციონალი მოიცავს დისტრიბუციის ზედნადების გაწერის და ბორტზე ნაშთების კონტროლის შესაძლებლობას, მყიდველების ბიზნეს რეგიონების მიხედვით აღრიცხვას, მყიდველების დავალიანების აღრიცხვას ცენტრალური ფილიალის ჭრილში, მყიდველის შეკვეთების სამუშაო ადგილს, მყიდველისგან უკან დაბრუნებების შექმნის დამუშავებას, სავაჭრო წარმომადგენლების აღრიცხვას და აპლიკაციას „მარდი“, რომლითაც სავაჭრო წარმომადგენელს შეუძლია მყიდველის შეკვეთებისა და გადახდების გაფორმება, პროდუქტების ნაშთებისა და მყიდველების დავალიანებების კონტროლი.

საქონელი სადისტრიბუციოდ

დისტრიბუციის ჩანართში განთავსებულია ახალი დოკუმენტი „საქონელი სადისტრიბუციოდ“.



დოკუმენტის საფუძველზე გამოიწერება დისტრიბუციის ზედნადები. ამისათვის ბალანსში ზედნადების ტიპებში დაემატა „დისტრიბუცია“.



დოკუმენტს მიეთითება თარიღი, პროდუქციის გადაცემის დრო, საწყობი ნაშთებისთვის და ფასის ტიპი ზედნადებში შესავსებად.

დოკუმენტში შესაძლებელია ნომენკლატურის ხელით დამატება, შერჩევის დამუშავებიდან არჩევა, შტრიხკოდით დასკანერება, ექსელიდან ჩატვირთვა და საწყობში არსებული ნაშთებით შევსება.

დოკუმენტის ცხრილის შევსება შესაძლებელია საქონლის გადაადგილების დოკუმენტის საფუძვლად. საქონლის გადაადგილება შესაძლებელია გაკეთდეს სატრანსპორტო საშუალების დატვირთვის დროს. საწყობის ცნობარზე დაემატა ალამი „ბორტი“, რითაც სატრანსპორტო საშუალება შეიძლება აღირიცხოს საწყობებად და ინფორმაციულად იყოს გარჩევადი



სტანდარტული საწყობისგან.

ბორტის ტიპის საწყობზე, დამატებით შესაძლებელია სატრანსპორტო საშუალებისა და მძღოლის მითითება. რომლითაც დისტრიბუციის ზედნადებში შეივსება ტრანსპორტირების მონაცემები.

მყიდველზე მიწოდების დასაფიქსირებლად საქონელი სადისტრიბუციოდ დოკუმენტის საფუძველზე შესაძლებელია რეალიზაციის დოკუმენტის შექმნა. რეალიზაციაში მიეთითება მყიდველზე მისაწოდებელი პროდუქცია. დოკუმენტის გატარებისას ხდება კონტროლი დისტრიბუციის დოკუმენტში არსებული ნაშთისა და რეალიზაციაში მითითებული რაოდენობის. არასაკმარისი ნაშთის შემთხვევაში რეალიზაციის დოკუმენტი არ გატარდება და გამოვა შესაბამისი შეტყობინება.



საქონელი სადისტრიბუციო დოკუმენტს დაქვემდებარებულ სტრუქტურაში გამოუჩნდება მის საფუძვლად შექმნილი რეალიზაციის დოკუმენტები.

დისტრიბუციის დოკუმენტის საფუძვლად შექმნილ რეალიზაციის დოკუმენტზე გამოიწერება ქვე-ზედნადები, რომელსაც მთავარ ზედნადებში შეევსება საფუძველი დისტრიბუციის ზედნადები.



ბიზნეს რეგიონები

ბალანსში დაემატა ბიზნეს-რეგიონების ცნობარი. ცნობარი იერარქიულია და იძლევა ქვე-რეგიონების დამატების საშუალებას. ბიზნეს რეგიონი მიეთითება მყიდველის ბარათზე.



პროგრამაში შესაძლებელია გაყიდვებისა და სხვა რეპორტების დაფორმირება ბიზნეს-რეგიონის ჭრილში.

ცენტრალური ფილიალის ჭრილში დავალიანების კონტროლისთვის მყიდველი ბარათზე დაემატა ახალი ველი, ზემდგომი მყიდველი, სადაც მყიდველზე შესაძლებელია მიეთითოს სათაო ოფისი. რეპორტებში გაყიდვებისა და დავალიანების დანახვა შესაძლებელია ზემდგომი მყიდველის მიხედვით.

შეკვეთების დამუშავება

დისტრიბუციის ქვესისტემაში დაემატა შეკვეთების დამუშავება. დამუშავებით შესაძლებელია ბაზაში გაფორმებული შეკვეთებზე რეალიზაციების ერთიანად შექმნა და მათზე ზედნედებების გამოწერა.



შეკვეთების დამუშავებაში ჩანს ბაზაში არსებული ღია და ნაწილობრივ მიწოდებული შეკვეთები. დამუშავების შერჩევის ჩანართზე შესაძლებელია შეკვეთების გაფილტვრა სავაჭრო წარმომადგენლით, საწყობით და ბიზნეს რეგიონით. ასევე თუ პროგრამაში ჩართულია საქონლის აგროვების ფუნქციონალი, დამატებით შესაძლებელია მხოლოდ აგროვებული შეკვეთების დამუშავება.

შემდეგ ღილაკზე დაჭერით დამუშავება გადავა შეკვეთები ფორმაზე, სადაც არჩეული ფილტრებით შეივსება შეკვეთები. თითოეულ შეკვეთაზე შესაძლებელია ამ შეკვეთაში დარჩენილი, მიუწოდებელი, პროდუქტის დანახვა.



შეკვეთების დასარეალიზებლად საჭიროა შეკვეთის ალმით მონიშვნა და შემდეგ ღილაკზე დაჭერა. რითაც ავტომატურად იქმნება რეალიზაციის და გაცემული სასაქონლო ზედნადების დოკუმენტები.



ჩანართზე შესაძლებელია ზედნადებში სატრანსპორტო საშუალების, მძღოლის, ტრანსპორიტრების დაწყებისა და დასრულების მისამართების მითითება. ავტომატურად აღნიშნული ინფორმაცია შეივსება მყიდველის შეკვეთიდან. დამუშავებიდანვეა შესაძლებელი ს/ზ ოპერაციების განხორციელება.
პროცესის დასრულების შემდეგი, „სხვა შერჩევით გაგრძელება“ ღილაკზე დაჭერით შესაძლებელია განსხვავებული ფილტრებით სხვა შეკვეთების დამუშავება.

უკან დაბრუნების დამხმარე

მყიდველისგან პროდუქციის მარტივად დასაბრუნებლად პროგრამაში დაემატა უკან დაბრუნების დამხმარე. დამუშავებით შესაძლებელია მყიდველზე გაყიდული პროდუქტების რეალიზაციები ავტომატური მოძებნა და მათ საფუვლად რეალიზაციის კორექტირების შექმნა. იმ შემთხვევაში თუ მითითებულ პერიოდში მყიდველზე არ დაფიქსირდა მიწოდება, შესაძლებელია საფუძვლის გარეშე რეალიზაციის კორექტირების გაფორმებაც.

დამუშავებაში მიეთითება პერიოდი, თუ რა პერიოდის რეალიზაციებიდან უნდა დაბრუნდეს ნომენკლატურა. მყიდველი, რომლისგანაც ხდება დაბრუნება. საწყობი, სადაც უნდა დაბრუნდეს პროდუქტი. დაბრუნების მეთოდი: მითითებულ პერიოდში ძველი დოკუმენტებიდან მოხდეს დაბრუნება თუ ახალი დოკუმენტებიდან. ძველი დოკუმენტების შემთხვევაში უნდა აირჩეს FIFO მეთოდი, ხოლო ახალი დოკუმენტების შემთხვევაში - LIFO. სტანდარტულად დამუშავებაში არჩეულია FIFO.

რეალიზაციის დოკუმენტების მოსაძებნად შესაძლებელია დეპარტამენტის, საწყობისა და მყიდველის ხელშეკრულების ფილტრების გამოყენება.

დამუშავებაში შესაძლებელია ფილტრის დადება, რომ არ მოხდეს კომპენსაციის გარეშე მიწოდებების გათვალისწინება უკან დაბრუნებებში, ამისათვის უნდა მოინიშნოს ალამი „არ გაითვალისწინოს უსასყიდლო რეალიზაცია“.



დამუშავებაში ნომენკლატურის დამატებისას და დასაბრუნებელი რაოდენობის მითითებისას ავტომატურად ივსება რეალიზაციები, რომლებიდანაც შესაძლებელია პროდუქტის დაბრუნება და დაბრუნებადი რაოდენობა. თუ რეალიზაცია არ შეივსო ნიშნავს, რომ მითითებულ პერიოდზე არ მოიძებნა მყიდველის არჩეული ნომენკლატურის რეალიზაცია ან ყველა რეალიზაციიდან ნომენკლატურა უკვე დაბრუნებულია. დამატებით ღილაკზე „რეალიზაციის მიხედვით შევსება“ დაჭერით შესაძლებელია დამუშავების ცხრილის გადავსება.

თითოეულ შევსებულ დოკუმენტზე ჩანს რა ფასად მოხდა გაყიდვა, რა რაოდენობა იყო დოკუმენტში და რა რაოდენობის დაბრუნებაა შესაძლებელი.

დამუშავებას სარდაფში აქვს დაბრუნების გაფორმების თარიღი, რომლითაც შეიქმნება რეალიზაციის კორექტირებები.

დამუშავებაში ასევე შესაძლებელია მოინიშნოს ალამი „საფუძვლის გარეშე დაბრუნების გაფორმება“. რაც გულისხმობს, რომ თუ არ მოძებნა დასაბრუნებელ პროდუქტზე რეალიზაცია ან

მოიძებნა თუმცა დასაბრუნებელი რაოდენობა არ არის საკმარისი, ასეთ პროდუქტებზე ან პროდუქტის რაოდენობაზე შეიქმნება საფუძვლის გარეშე რეალიზაციის კორექტირების დოკუმენტი.

თუ აღნიშნული ალამი მონიშნულია, დამუშავებაში გამოჩნდება ჩანართი „აუცილებელი რეკვიზიტები“ რომლითაც რეალიზაციის კორექტირებაში უნდა შეივსოს ინფორმაცია. შემდეგ ღილაკზე დაჭერით დამუშავება გადავა აღნიშნულ ჩანართზე. თუ ალამი „საფუძვლის გარეშე დაბრუნების გაფორმება“, ამორთულია, გამოჩნდება ღილაკი „დაბრუნების გაფორმება“, რაც შექმნის რეალიზაციის კორექტირების დოკუმენტებს.



საფუძვლის გარეშე რეალიზაციის კორექტირების გაფორმებისთვის უნდა შეივსოს დოკუმენტის ფილიალი, მყიდველის ხელშეკრულება, დღგ-ით დაბეგვრა, ფასის ტიპი და შემოსავალ-ხარჯის ანალიტიკა (თუ შესაბამისი კონსტანტები ბაზაში გააქტიურებულია). აღნიშნული ველები ავტომატურად ივსება ძირითადი მნიშვნელობებით, ისევე როგორც რეალიზაციის კორექტირების მექანიკურად გაფორმების დროს.



„დაბრუნების გაფორმება“ ღილაკზე დაჭერით დამუშავება გადადის დაბრუნებების ჩანართზე, სადაც ჩანს უკვე შექმნილი დოკუმენტები.

ჩანართზე შესაძლებელია ზედნადებში სატრანსპორტო საშუალების, მძღოლის, ტრანსპორიტრების დაწყებისა და დასრულების მისამართების მითითება. ავტომატურად აღნიშნული ინფორმაცია შეივსება მყიდველის ბარათიდან და საწყობიდან. დამუშავებიდანვეა შესაძლებელი ს/ზ ოპერაციების განხორციელება.

აპლიკაცია მარდი

დისტრიბუციის ფუნქციონალში მნიშვნელოვანია სავაჭრო წარმომადგენლების მიერ შეკვეთების დაფიქსირება და მათი პროგრამაში ასახვა. ამისათვის ანდროიდ პლატფორმაზე შეიქმნა აპლიკაცია მარდი. აპლიკაციას აქვს სრული ინტეგრაცია ბალანსის პროგრამასთან. მიმდინარე ეტაპზე აპლიკაციაში შესაძლებელია სავაჭრო წარმომადგენელმა დააფიქსიროს მყიდველის შეკვეთა და გადახდა. აკონტროლოს მყიდველების დავალიანებები და საწყობში ნაშთები. მომავალში მარდი მომხმარებლებს კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას შესთავაზებს.

ლიცენზირება

ბალანსის დისტრიბუციის ფუნქციონალი შესულია შოპის ლიცენზიაში. შოპის ლიცენზიას გადაერქვა სახელი და დაერქვა Inventory. შესაბამისად ახალი ფუნქციონალის გამოყენების მსურველებს არ არის აუცილებელი ჰქონდეთ Enterprise ლიცენზია, საკმარისია Inventory ლიცენზიაც.

რაც შეეხება აპლიკაციას, ბალანსში დაემატა ახალი ლიცენზიის ტიპი Mardi. აპლიკაციის გამოსაყენებლად შეძენილი უნდა იყოს აღნიშნული ლიცენზია და მომხმარებლის/თანამშრომლის ტიპში გაწერილი იყოს Mardi. ხოლო მომხმარებლის როლებში და უფლებებში მითითებული უნდა ჰქონდეს ინტეგრაციის წვდომის ჯგუფი.

ინტეგრაცია

მარდის აპლიკაციასთან ინტეგრაციისთვის ადმინისტრების ჩანართში, მონაცემების სინქრონიზაციის აწყობებში, ჩართული უნდა იყოს ალამი „სავაჭრო წარმომადგენლების მოწყობილობებთან ინტეგრაცია“.



ალმის ჩართვის შემთხვევაში ბალანსის On-premise ტიპის ბაზებში გამოჩნდება ინტერნეტში განთავსებული ბაზის მისამართის ველი, რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების ღილაკები. ინტეგრაციისთვის აუცილებელია ინფორმაციული ბაზის პუბლიკაცია ვებ-სერვერზე. პუბლიკაციის მისამართი კი ჩაიწერება აღნიშნულ ველში. ბაზის პუბლიკაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ თქვენს მხარდაჭერის კონსულტანტს.

რეგისტრაცია ღილაკზე დაჭერით ბალანსის სისტემაში დარეგისტრირდება ბაზაში არსებული Mardi-ის ტიპის მომხმარებლები. ხოლო რეგისტრაციის გაუქმებით კი წაიშლება.

გასათვალისწინებელია რომ ბალანსის სისტემაში კონტროლდება მომხმარებლის სახელი (შესვლის) უნიკალურობა. შესაბამისად რეგისტრაციისას თუ სისტემაში უკვე მოიძებნა სახელით არსებული მომხმარებელი პროგრამა გამოგიტანთ შესაბამის ფორმას და საშუალება გექნებათ შეცვალოთ დასახელება და ახლიდან სცადოთ რეგისტრაცია.

ქლაუდის ტიპის ბაზებში აღნიშნული რეგისტრაცია არ არის საჭირო და არც შესაბამისი ღილაკები ჩანს ინტერფეისში. ქლაუდის ბაზის შემთხვევაში გასათვალისწინებელია რომ სავაჭრო წარმომადგენელი არ იყოს დამატებული ორ სხვადასხვა ბაზაში. ასეთის არსებობის შემთხვევაში აპლიკაცია ავტორიზაციის დროს შესაბამის შეტყობინებას გამოუტანს სავაჭრო წარმომადგენელს და ადმინისტრატორს ექნება საშუალება რომ მონაცემები შესაბამისად დაამუშაოს.

სავაჭრო წარმომადგენელი

სავაჭრო წარმომადგენლების მოწყობილობებთან ინტეგრაციის ჩართვის შემთხვევაში პროგრამაში, დისტრიბუციის ჩანართში, ემატება ცნობარი სავაჭრო წარმომადგენელი. აპლიკაციასთან ინტეგრაცია ხორციელდება მისი დახმარებით და ინტეგრაციის მონაცემების აწყობაც ამავე ცნობარზე ხდება.



ცნობარზე მიეთითება სავაჭრო წარმომადგენლის დასახელება, მომხმარებელი (აუცილებლად უნდა იყოს Mardi-ის ტიპის) და სტატუსი.

სავაჭრო წარმომადგენელზე ინტეგრაციის განხორციელების ავტომატურად ევსება იმ მოწყობილობის იდენტიფიკატორი, რომლიდანაც მოხდება დაკავშირება და აპლიკაციის ვერსია.

მარდის აპლიკაციის ლიცენზირება ხდება სავაჭრო წარმომადგენლების მიხედვით. ბაზაში ვერ დაემატება იმაზე მეტი აქტიური ცნობარი, რამდენი მარდის ლიცენზიაც აქვს კომპანიას ნაყიდი. ასეთ დროს მომხმარებელს ცნობარის ჩაწერისას გამოუვა შესაბამისი შეტყობინება.



სავაჭრო წარმომადგენელს აპლიკაციაში შესაძლებელია გამოუჩნდეს ბაზაში არსებული ყველა ნომენკლატურა, ან დაედოს ფილტრი რომელიმე ჯგუფს/ჯგუფებს ანდა ნომენკლატურებს. ფილტრს გარეთ არსებული ნომენკლატრები აპლიკაციაში არ გამოჩნდება და არც შეკვეთის გაფორმება იქნება შესაძლებელი. ამისათვის უნდა მოინიშნოს ალამი „ნომენკლატურის ფილტრის გამოყენება“.

სავაჭრო წარმომადგენლის სხვა აწყობები ხდება პარამეტრების ჩანართიდან:



პარამეტრებიში ეთითება სავაჭრო წარმომადგენლის ძირითადი საწყობი და ფილიალი, რომლის ნაშთებიც გამოუჩნდება აპლიკაციაში და რომელზეც გააფორმებს შეკვეთებს.

ძირითადი ფასის ტიპი, თუ რა ფასად შეძლებს გაყიდოს პროდუქტი. ფასის ტიპში არ აირჩევა ისეთი ფასის ტიპი რომელიც არ შეიცავს დღგ-ს და რომლის ვალუტა არის ლარისგან განსხვავებული.

ძირითადი სალარო და ფსმ მუხლი, მყიდველისგან თანხის მიღების დასაფიქსირებლად.

იმისათვის რომ სავაჭრო წარმომადგენელს მყიდველი გამოუჩნდეს აპლიკაციაში, მყიდველის ბარათზე უნდა მიეთითოს სავაჭრო წარმომადგენელი.







სავაჭრო წარმომადგენელი ვერ მიეთითება ისეთ მყიდველს რომელსაც ბარათზე/ძირითად ხელშეკრულებაში მითითებული აქვს დიპლომატი/ექსპორტი ან ლარისგან განსხვავებული ვალუტა.

აპლიკაცია

აპლიკაცია იხსნება ავტორიზაციის ფანჯრით, რომელშიც შეიყვანება მარდის ტიპის მომხმარებლის მომხმარებელი და პაროლი. ავტორიზაციისთვის აუცილებლად ამ მომხმარებლისთვის დამატებული უნდა იყოს სავაჭრო წარმომადგენლიც ცნობარი და შევსებული ჰქონდეს პარამეტრები.

ავტორიზაციიდან იხსნება აპლიკაციის მთავარი მენიუ სადაც შესაძლებელია კლიენტებისა და პროდუქტების შესახებ ინფორმაციის დანახვა და შეკვეთებისა და გადახდების გაფორმება კლიენტზე.



კლიენტებზე დაჭერის იხსნება კლიენტების სია. სადაც მოცემულია კლიენტის დასახელება, მისამართი და დავალიანება. კლიენტების სიიდან შესაძლებელია კლიენტის ბარათის გახსნა. ასევე კლიენტის მარცხნივ გასქროლვით კლიენტზე შეკვეთისა და გადახდის გაფორმება.

კლიენტის ბარათზე მოცემულია დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი, მისამართი, ტელეფონი, კომენტარი და დავალიანება. აპლიკაციიდანვე შესაძლებელია



კლიენტთან ზარის განხორციელება და კლიენტის მისამართის მიხედვით რუკაზე მოძებნა.



კლიენტის ბარათიდან შესაძლებელია ამ კლიენტის შეკვეთებზე და გადახდებზე გადასხვლა. შემდგომ კი ახალი ელემენტის გაფორმება.

პროდუქციაზე დაჭერით იხსნება პროდუქტების სია. სადაც მოცემულია იერარქიულად დალაგებული საქონელი, ჯგუფში შემავალი პროდუქტების რაოდენობით. პროდუქტის დასახელება, შტრიხკოდი, არტიკული. ასევე პროდუქტის ფასი და ნაშთი საწყობში. სიაზე შესაძლებელია შემცველობითი ძიების გამოყენება.





პროდუქტის ბარათზე მოცემულია დასახელება, ჯგუფის იერარქია, შტრიხკოდი და არტიკული. ასევე ნაშთი საწყობში და ფასის რეინჯი.

გადახდების სიაზე გამოტანილია მყიდველის დასახელება, გადახდის თარიღი, გადახდის თანხა და სტატუსი. გადახდას აქვს ორი სტატუსი ახალი და სინქრონიზებული. სინქრონიზებულის შემთხვევაში დამატებით სიაზე გამოდის გადახდის დოკუმენტის ნომერი ბალანსში.

გადახდისას დოკუმენტს ბარათზეც იგივე მონაცემები აქვს, თუმცა უფრო ვრცლად. ასევე დამატებით შესაძლებელია კომენტარის მითითება.



დოკუმენტის გასაფორმებლად უნდა აირჩიოთ მყიდველი და დააჭიროთ მოსანიშნ ალამს, შემდეგ შეიყვანთ თანხას. კომენტარის მითითება შესაძლებელია სამ წერტილზე დაჭერით.



შეკვეთების სიაზე გამოტანილია მყიდველის დასახელება, შეკვეთის თარიღი, თანხა და სტატუსი. შეკვეთას აქვს 6 სტატუსი: დრაფტი, სინქრონიზაციის მოლოდინში, გადაგზავნილი, სინქრონიზაციის

შეცდომა, სინქრონიზებული, სერვერიდან მობრუნებული.

აპლიკაციიდან შესაძლებელია მხოლოდ დრაფტი სტატუსის მქონე შეკვეთის რედაქტირება. თუ მოხდა მისი დადასტურება და შეეცვალა სტატუსი სინქრონიზაციის მოლოდინში. შეკვეთა ხდება არარედაქტირებადი.

ბალანსში გაგზავნილ შეკვეთას აქვს სტატუსი გაგზავნილი, ხოლო თუ სინქრონიზაცია წარმატებით განხორციელდა სტატუსი იცვლება სინქრონიზებულზე.

ბალანსში შეკვეთის რედქტირების ან გაუქმების შემთხვევაში აპლიკაციაში სტატუსი იცვლება სერვერიდან მობრუნებულში.

შეკვეთების სიიდან კალათის სანახავად შეკვეთა უნდა გაისქროლოს მარჯვნივ.

შეკვეთის დოკუმენტზე გამოტანილია, კლიენტის დასახელება და ს/ნ. შეკვეთის ჯამური თანხა და



პროდქუტის ჯამური რაოდენობა. დოკუმენტის ნომერი და თარიღი. სტატუსი და კომენტარი.

დრაფტი სტატუსის მქონე შეკვეთას აქვს შეკვეთის დადასტურებისა და გაუქმების ღილაკები. დადასტურების შემთხვევაში სტატუსი იცვლება სინქრონიზაციის მოლოდინზე, ხოლო გაუქმების შემთხვევაში შეკვეთა აპლიკაციიდან იშლება.



შეკვეთის კალათაზე გადასასვლელად უნდა დააჭიროთ კალათის ღილაკს, ხოლო კალათაში პროდუქტის დასამატებლად + ღილაკს. კალათაში პროდუქტის დამატება შესაძლებელია რაოდენობაზე დაჭერით და პროდუქტის მარცხნივ გასქროლვით.



რის შემდეგადაც მიეთითება პროდუქტის რაოდენობა.

კლავიატურაზე გამოჩნდება მითითებული რაოდენობა, პროდუქციის ნაშთი, ერთეულის ფასი და პროდუქციის ღირებულება.

შეკვეთის კალათაში ჩანს თითოელი პროდუქტის ერთეულის ფასი, რაოდენობა და ღირებულება.

კალათაში ასევე ჩანს შეკვეთის ჯამური რაოდენობა და ჯამური ღირებულება.



აპლიკაცია მუშაობს ბალანსისგან დამოუკიდებლად Offline რეჟიმში. ინფორმაციის ნახვა და დოკუმენტებს გაფორმება არ საჭიროებს ინტერნეტთან კავშირს. აპლიკაცია პროგრამასთან სინქრონიზაციას აკეთებს როგორც გარკვეული მომქდებების დროს, ასევე პერიოდულად. მაშინაც როცა გათიშულია. სინქრონიზაციისას ხდება მონაცემების განახლება ბალანსიდან და დოკუმენტების სტატუსების განახლება აპლიკაციაში. სინქრონიზაციის შესახებ ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია მთავარ გვერდზე. სადაც ჩანს სინქრონიზაციის სტატუსი, მოითხოვება თუ არა სინქრონიზაცია და ხარვეზის შემთხვევაში შეტყობინება თუ რატომ ვერ მოხდა სინქრონიზაცია.

აპლიკაციაში განხორციელებული ქმედებების სანახავად შეგიძლიათ გამოიყენოთ ივენთების ლოგი, რომელიც განთავსებულია მთავარი გვერდის საწყის პანელში

სალაროს ორდერების ექსელიდან ჩატვირთვა

პროგრამა ბალანსში დაემატა სალარო ორდერების ექსელიდან ჩატვირთვის შესაძლებლობა.



შესაძლებელია ყველა არსებული სალაროს გასავლის/შემოსავლის ორდერების ყველა ოპერაციის ტიპის შეტვირთვა, ამისათვის საჭიროა ფუნქციონალში არჩეული იქნას სასურველი ოპერაციის ტიპი, რაც დააგენერირებს შესაბამის შესატვირთ ფორმას:





საკადრო მოძრაობის ანგარიშგება

პროგრამა ბალანსში დაემატა საკადრო მოძრაობის ანგარიშგება, რომელიც გვიჩვენებს გარკვეული პერიოდის ჭრილში გაფორმებული საკადრო დოკუმენტებს და შესაბამის მონაცემებს, რომელიც მოიცავს: საკადრო ცვლილების ტიპს, მდგომარეობას, დეპარტამენტს, თანამდებობას, ბრიგადას, სამუშაო განაკვეთსა და დანიშნულ გეგმიურ დარიცხვა/დაკავებებს.

თანამშრომელი რეგისტრატორი	ოპერაციის ტიპი	მდგომარეობა	დეპარტამენტი	თანამდებობა	
Employee 2					
კადრების მოძრაობა 4 - 1/5/2023	თანამშრომლის მიღება	მიღებულია სამუშაოზე	Elements Library	კონსულტანტი	
კადრების მოძრაობა 5 - 1/11/2023	თანამშრომლის მდგომარეობის ცვლილება	მიღებულია სამუშაოზე	Central Department	კონსულტანტი	
კადრების მოძრაობა 6 - 1/17/2023	თანამშრომლის მდგომარეობის ცვლილება		Central Department	კონსულტანტი	
კადრების მოძრაობა 7 - 1/24/2023	თანამშრომლის მდგომარეობის ცვლილება	გათავისუფლებული	Central Department	კონსულტანტი	
კადრების მოძრაობა 30 - 5/9/2023	თანამშრომლის მიღება	მიღებულია სამუშაოზე	Central Department	კონსულტანტი	
კადრების მოძრაობა 31 - 5/16/2023	თანამშრომლის მდგომარეობის ცვლილება	შეჩერებული	Central Department	კონსულტანტი	
Employee 3					
კადრების მოძრაობა 8 - 1/5/2023	თანამშრომლის მიღება	მიღებულია სამუშაოზე	Central Department	კონსულტანტი	
კადრების მოძრაობა 11 - 1/24/2023	თანამშრომლის მდგომარეობის ცვლილება	მიღებულია სამუშაოზე	Central Department	კონსულტანტი	

შეტყობინებების დაგზავნაში არჩეული შაბლონების მიხედვით ფილტრის დადების შესაძლებლობა

განახლებულ კონფიგურაციაში შეტყობინების შაბლონებში დაემატა ფილტი, რომლის საშუალებით შესაძლებელია შაბლონის პარამეტრით გაიფილტროს გასაგზავნი შეტყობინებები. ფილტში შესაძლებელია მიეთითოს შაბლონში არსებული პარამეტრები.მაგ. კონკრეტულ მყიდველებით და კონკრეტულ თანხაზე გადაცილების შემთხვევაში გაიგზავნოს შეტყობინება.



იგივე ლოგიკის ფილტრები დაემატა შეტყობინების რეგლამენტურად გაგაზვნის ტიპებს.



საწყისი ნაშთების დამუშავებაში მყიდველების და მომწოდებლების დავალიანების გადახდის ვადის მითითების შესაძლებლობა

საწყისი ნაშთების დამუშავებაში მყიდველების და მომწოდებლების ჩანართზე დაემატა გადახდის თარიღის ველი.

გადახის თარიღისა და ანგარიშგების **მყიდველის/მომწოდებლის დავალიანების ვადების მიხედვით** სარგებლობისთვის აუცილებელია საწყისი აწყობებში (ადმინისტრირება>>ანგარიშსწორება) გააქტიურებული იყოს ალმები:

გადახდის პირობების გამოყენება მომწოდებლებისთვის ან/და გადახდის პირობების გამოყენება მყიდველებისთვის. იმის მიხედვით, რომელი კონტრაგენტის დავალიანების ვადების კონტროლი არის აქტუალური.

ალმების მონიშვნის შემდგომ საწყის ნაშთებში გამოჩნდება გადახდის თარიღის ველი, რომელიც მხოლოდ მაშინ არის მისაწვდომი, როცა კონტრაგენტის დავალიანება ველი შევსებულია.

გასწორებული შეცდომები

- გასწორებულია გაყიდვების დამხმარესა და საცალო ინტერფეისში დაბრუნების ხარვეზი, როდესაც ნაშთში ერთია დარჩენილი
- გასწორებულია ბანკის ამონაწერის ჩატვირთვისას ხელფასის გადახდის დოკუმენტში ფილიალის გაუთვალისწინებლობის ხარვეზი
- გასწორებული დოკუმენტებით ანგარიშსწორებით ჩახურულ დოკუმენტზე ფაილის მიბმის ხარვეზი
- გასწორებულია ეიჯინგ რეპორტებში კონტრაგენტის ს/ნ-ის გამოტანის ხარვეზი
- გასწორებულია დამატებითი ხარჯების განაწილების დოკუმენტში საფუძველი დოკუმენტის ველების გამოტანის ხარვეზი
- გასწორებულია დამატებითი ხარჯების მექანიკური განაწილების დროს გატარების ხარვეზი
- გასწორებულია პროდუქციის გამოშვება და რეალიზაციის დოკუმენტში ავანსის დღგ-ის გატარების ხარვეზი

სხვა მოდიფიკაციები

- ეიჯინგ რეპორტებში ვალის კორექტირების გათვალისწინება
- საკადრო მოძრაობის დოკუმენტში თანამშრომლის ინფორმაციის შევსების ლოგიკის ცვლილება